პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 20 მაისი, 1944 წ. 101 (7045). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

იალაღებისაკენ! მოწინავე (1-ლი გვერდი).

საასკოლო გამოცდები. „პრავდის“ 19 მაისის მოწინავე (მე-2 გვერდი).

მარშალმა ი. ბ. სტალინმა მიიღო იუგოსლავიელი გენერლები ტერზიჩი და ჯილასი (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 19 მაისის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან (1-ლი გვერდი).

ზ. ფეიგინი და ე. კოლუმოროდვინოვი. სვანი მეზღვაური (1-ლი გვერდი).

სინელნიკოველთა დელეგაცია გურჯაანში (1-ლი გვერდი).

საპირველმაისო შეჯიბრებაში გამარჯვებულნი (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები. საომარი მოქმედება იტალიაში — მოკავშირეთა ჯარების წინსვლა იტალიაში. მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა ბერლინს. შეტაკება ოსლოს ქუჩაში. ბულგარეთის ხელისუფალნი ჰიტლერელებს ემსახურებიან (1-ლი და მე-2 გვერდი).

იალაღებისაკენ!

საქართველოს კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა სამამულო ომის დღეებში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში. ისინი დიდ მუშაობას ეწევიან, რომ მისცენ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მეცხოველეობის მეტი პროდუქტები.

მიმდინარე წელს ამოცანად დასახულია საქონლის სულადობის თვალსაჩინოდ გაზრდა და მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ამაღლება. მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმის სანიმუშოდ შესრულება თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის პატრიოტული მოვალეობაა. გეგმის შესასრულებლად საჭიროა საქონლის მოვლის გადაჭრით გაუმჯობესება, მოზარდეულის მთლიანად შენარჩუნება, სიკვდილიანობის და სიბერწის ლიკვიდაცია, საქონლის უზრუნველყოფა საკვებით, დაავადებათა თავიდან ასაცილებლად პროფილაქტიკური ღონისძიებათა ურყევად განხორციელება.

ამასთან მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის ფრიად მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს საქონლის ორგანიზებულად გარეკა და დაბინავება საზაფხულო საძოვრებზე.

ცხვარი უკვე დაიძრა იალაღებისაკენ. წელს საქონლის გარეკა შარშანდელზე უფრო ორგანიზებულად დაიწყო. მრავალი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა შესანიშნავად მოემზადნენ საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გასარეკად.

წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის ფერმები უზრუნველყოფილია სათანადო კადრებით. მწყემსები მომარაგებული არიან ნაბდებით, ფეხსაცმლით, საჭირო ინვენტარით. ცხვრის ფარას საზაფხულო საძოვრებზე აცილებენ კოლმეურნეობის ზოოვეტერინარული მუშაკები. გამომგზავრების წინ ცხვრის რაოდენობა, როგორც წესი, აღრიცხეს. გზაში კარგად იყენებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. დუშეთის, ყაზბეგის რაიონებისა და სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის ცხვარი ორგანიზებულად დაიძრა ყიზლარის საზამთრო საძოვრებიდან.

მაგრამ ყველგან არ იცავენ იმ საგალდებულო მოთხოვნებს, რაც საჭიროა საქონლის წარმატებით დასაბინავებლად იალაღებზე. ზოგან საქონელის გარეკა მიანდეს მხოლოდ მწყემსებს ან ფერმის გამგეებს, ხოლო რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები და კოლმეურნეობის თავმჯდომარეები გაზე დგანან. წალკის რაიონში ადგილი აქვს საქონლის ხშირ სიკვდილიანობას. ამ რაიონის სოფელ ყიზილ-ქილისის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობაში როგორც მოზრდილ საქონელს, ისე ნამატს ცუდად უვლიან. რაიონში წელს მარტო სამი თვის განმავლობაში მსხვილფეხა რქიანი საქონელი 266 სულით შემცირდა. აქედან სჩანს, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) წალკის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი არასაკმაო ყურადღებას აქცევენ მეცხოველეობის საკითხებს. მათ დაივიწყეს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მითითება ინის შესახებ, რომ „საქართველოს მეცხოველეობას პარტიულმა, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანიზაციებმა საქართველოს ყველა რაიონში გამოუკლებლივ მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონო“.

საქონლის იალაღებზე გარეკა პასუხსაგები სამუშაოა. საზაფხულო საძოვრებზე საქონლის ორგანიზებულად გარეკა იმას ნიშნავს, რომ გზაზე არ დაეცეს არც ერთი სული საქონელი. მთელი საქონელი უნდა გავატაროთ ვეტერინარულ დამთვალიერებელ პუნქტებში დაავადების თავიდან ასაცილებლად. ამ მხრივ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ზოოტექნიკოსებსა და ვეტერინარულ მუშაკებს.

როგორც წესი, საქონელი გარეკის წინ და იალაღებზე დაბინავებისას უნდა დაითვალონ, აღრიცხონ. ამ წესის დაცვა სავალდებულოა მეცხოველეობის ყველა კოლმეურნეობისათვის.

არ ვმარა მარტო ის, რომ ცხვარი წესიერად გავრეკოთ. საჭიროა იალაღებზე კარგად მოვუაროთ საქონელს, ჯანსაღად ვიყოლიოთ მოზარდეული, ვიქონიოთ საჭირო წამლები. ყაზბეგისა და დუშეთის რაიონები კი ჯერ-ჯერობით არ ფიქრობენ გაიტანონ გამოყოფილი მედიკამენტები, რომ საფრთხეში აგდებენ საქონლის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს.

სასწრაფოდ უნდა აღმოვფხვრათ საქონლის იალაღებზე გარეკვისა და დაბინავების დარგში არსებული ნაკლოვანებანი და იალაღებზე საქონლის კარგი მოვლით უზრუნველვყოთ მისი მსუქნად დაბრუნება საზამთრო საძოვრებზე.

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანებით და წითელი არმიის სახელოვანი გამარჯვებებით აღფრთოვანებული საკოლმეურნეო სოფელი მთელ თავის ძალებს რაზმავს, რომ გააძლიეროს დახმარება ფრონტისადმი, დაჩაქაროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურება. ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების მოსავლისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ხუთი გარდამავალი წითელი დროშა — საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობებისათვის.

კოლმეურნეებო, მეცხოველეობის მუშაკებო! კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, საქმით შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი, წითელი არმიისა და ქვეყნისათვის დავამზადოთ მეცხოველეობის მეტი პროდუქტები!

მარშალმა ი. ბ. სტალინმა მიიღო იუგოსლავიელი გენერლები ტერზიჩი და ჯილასი

19 მაისს საბჭოთა კავშირის მარშალმა **ი. ბ. სტალინმა** მიიღო იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წარმომადგენლები—სამხედრო მისიის მეთაური გენერალ **ტერზიჩი** და სამხედრო მისიის წევრი გენერალი **ჯილასი.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ, მოსკოვისა და მთელი რუსეთის უწმიდესი პატრიარქის სერგის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდს ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადა.

პატრიარქ სერგის დაკრძალვა

ა. წ. 18 მაისს ნათლისღების საკათედრო საპატრიარქო ტაძარში მოსკოვს მოხდა მოსკოვისა და მთელი რუსეთის გარდაცვლილი უწმიდესი პატრიარქის სერგის წესის აგება და დაკრძალვა.

პატრიარქის მდიდრულად მორთული ცხედარი დასვენებული იყო ტაძარში და დაფარული იყო საპატრიარქო მანტიითა და ყვავილებით.

გარდაცვლილი პატრიარქის წესის აგებაში მონაწილეობას ღებულნენ მიტროპოლიტები ალექსი, ნიკოლოზი, იოანე, 11 ეპისკოპოსი და მოსკოვის სამღვდელოების 100-ზე მეტი წარმომადგენელი.

პატრიარქის დაკრძალვაზე შეიკრიბა მორწმუნეთა — ნათლისღების ტაძრისა და მოსკოვის სხვა ეკლესიების მრევლის უდიდესი მასა.

დაკრძალვას დაესწრო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს წარმომადგენელი გ. გ. კარპოვი.

დაახლოებით ნაშუადღევის 4 საათზე დიდმა სამგლოვიარო საეკლესიო პროცესიამ ცხედრიანად და ბაირაღებიანად შემოუარა ტაძარს, რის შემდეგაც იქვე, ტაძარში, მოხდა დაკრძალვა. (საკდესი).

სინელნიკოველთა დელეგაცია გურჯაანში

გურჯაანი, 19 მაისი. დღეს დილით ჩამოვიდა უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის სინელნიკოვის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაცია, რომელებთანაც გურჯაანის რაიონის კოლმეურნეებმა განაახლეს სოციალისტური შეჯიბრება. სინელნიკოველთა დელეგაციას, რომელშიაც შედიან ლენინის სახელობის, შევჩენკოს სახელობისა და სხვა კოლმეურნეობათა წარმომადგენელნი, მეთაურობს მშრომელთა დეპუტატების სინელნიკოვოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნოვოხატკო.

საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანმა ამხ. ფეიქრიშვილმა სტუმრებს გააცნო რაიონის ეკონომიკა და უამბო გურჯაანელ კოლმეურნეთა მუშაობასა და მიღწევებზე სამამულო ომის წლებში.

დღეს დელეგაციის წევრები მიემგზავრებიან სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენაში“, რათა გააფორმონ შეჯიბრების ‘ხელშეკრულება კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენასა“ და სინელნიკოვოს რაიონის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობას შორის. ხვალ კი სტუმრები ეწვევიან სოფელ ნოვობოგდანოვკას (საქდესი).

ცნობა

საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტი ა. წ. 21 მაისს მოსკოვში აწყობს საბჭოთა ახალგაზრდობის მესამე ანტიფაშისტურ მიტინგს. მიტინგი შესდგება ნაშუადღევის 4 საათზე და ტრანსლირებული იქნება რადიოთი.

საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

19 მაისის ოპერატიული ცნობა

19 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

18 მაისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 14 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 43 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ დილაადრიან იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. გაჩაღდა გაფთრებული ბრძოლა, რომელმაც მთელ დღეს გასტანა. გერმანელები ცდილობდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ დაეკავებინათ ხელსაყრელი ზღუდე, მაგრამ გადამწყვეტ წინააღმდეგობას შეხვდნენ. დღის ბოლოსათვის საბჭოთა მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა იერიში. ბრძოლის მსვლელობაში გაყლეტილია 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია 7 ტანკი. სხვა უბანზე ჩვენმა მზვერავთა რაზმმა მოწინააღმდეგის განლაგებაში შეაღწია და ჰიტლერელთა ჯგუფი დახოცა. მზვერავებმა ტყვედ წამოიყვანეს გერმანელი ოფიცერი, ორი ჯარისკაცი და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ქალაქ ტირასპოლის ჩრდილო-დასავლეთით ვერეიის 6 ნაწილმა მოიგერია მოწინააღმდეგის რამდენიმე იერიში. თავდაპირველად გერმანელებმა მოახერხეს სოლოვით შემოჭრილიყვნენ ჩვენს პოზიციებში. მაგრამ გვარდიელებმა მალე მარჯვე შემოვლითი მანევრი მოაწყეს და მტერი კრიზისულ მდგომარეობაში ჩააყენეს. გერმანელებმა უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე დასტოვეს 500-მდე მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 6 ტანკი და ერთი თვითმფრინავი.

* * *

ვიტებსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 6 ნაწილის ქვეგანყოფილებამ იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდეზე. ორი საათის ბრძოლის შედეგად ჩვენმა მებრძოლებმა დაიკავეს გამაგრებული მაღლობი. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დავლა.

6 შენაერთის ნაწილებში წარმატებით მოქმედებს ქალიშვილთა ჯგუფი, რომლებმაც სნაიპერთა სკოლა დაამთავრეს. 5 აპრილიდან 14 მაისამდე განვლილ ხანში მათ 300-ზე მეტი გერმანელი დახოცეს. ეფრეიტორმა რ. შანინამ მოსპო 15 ჰიტლერელი, ეფრეიტორმა ე. კრასნობოროვამ — 14, ეფრეიტორებმა ლ. ტანნიოლამ და ვ. სმირნოვამ 12 გერმანელი დახოცეს თვითეულმა.

* * *

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ავიაცია დღეს თავს დაესხა ფინეთის ნავსადგურ კოტკას. დაბომბვის შედეგად ნავსადგურში ხანძრები გაჩნდა. დაზიანებულია პირსი და სხვა სანაპიროური ნაგებობანი. ერთი ბომბი გასცდა მისაბმელთან მდგომი ტრანსპორტის ბორტს. ტრანსპორტს ციცხლი გაუჩნდა.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის აეროდრომზე დაბრუნდა.

* * *

საბჭოთა მფრინაველები ურტყამდნენ მოწინააღმდეგის გემებს ჩრდილოეთ ნორვეგიის სანაპიროსთან. ბომბების, პირდაპირი ზოხვიერების შედეგად ჩაძირულია საგუშაგო ხომალდი და საგუშაგო კატერი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 7 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის დასავლეთ ოლქებში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ორი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა ნავთსაწყობად ნაგებობებს პლოეშტში, აგრეთვე ლიმბარისხებელ სადგურებს ბელგრადსა და ნიშში.

მოკავშირეთა ავიაცია თავს ესხმოდა აგრეთვე მოწინააღმდეგის ობიექტებს იტალიაში.

მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ 2.200 თვითმფრინაველი მოახდინა.

ნიუ-იორკი, 18 მაისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტოს ნეაპოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალიის ფრონტზე ახალი შეტევის განმავლობაში მოკავშირეთა ჯარებმა ხელთ იგდეს 125 კვადრატული მილი ტერიტორია.

ალჟირი, 19 მაისი (საკდესი). უკანასკნელი ცნობებით, მოკავშირეთა ჯარებმა იტალიის ფრონტზე ახალი შეტევის დაწყებიდან ტყვედ წამოიყვანეს 7 ათასი გერმანელი, მათ შორის 1.500 კაცი კასინოში დაატყვევეს.

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 19 მაისი (საკდესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ კასინოს დაკავების შემდეგ ინგლისის მე-8 არმიამ მალე ისარგებლა მოპოვებული წარმატებით და გაბედულად უკუაგდო მტერი „ჰიტლერის ხაზზე“. ამერიკის მე-5 არმიის ფრანგთა და ამერიკელთა ნაწილები განაგრძობდნენ წინსვლას მთებში მდინარე ლირის საზრეთით და ამყარებენ მტრის პირისპირ იმყოფებიან მაღლობებზე, რომლებიც ბოწინაალმდეგის თავდაცვითი ხაზის სამხრეთ სიმაგრეებს წარმოადგენენ. სანაპიროზე ამერიკის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ფორმია.

გუშინ მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხნენ მტრის ობიექტებს ბალკანეთში. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, ბომბდამშენთა შენაერთები თავს დაესხნენ ლერის ხაზის“ სიმაგრეთა ზოლში სან ოლივის წინ (ბონტეკორვოს რაიონში).

მოკავშირეთა ჯარების წინსვლა იტალიაში

ალჟირი, 19 მაისი (საკდესი). უკანასკნელი ცნობებით, ფრანგთა ჯარებმა და ამერიკის სატანკო ნაწილებმა შეაღწიეს „ჰიტლერის ხაზის“ სიმაგრეთა ზოლში-სან ოლივის წინ (ბონტეკორვოს რაიონში).

მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა ბერლინს

ლონდონი, 19 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ლონდონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ 19 მაისს მოკავშირეთა თვითმფრინაველების დიდი შენაერთები თავს დაესხნენ ობიექტებს ბერლინში და ბრაუნშვაიგის რაიონს. 19 მაისს დილით თვითმფრინავთა რიცხვობრივად უფრო მცირე შენაერთები თავს ესხმოდნენ სამხედრო ობიექტებს ჩრდილოეთ საფრანგეთში.

ბულგარელ ხელისუფალთა ახალი ღონისძიებანი ბულგარეთში მობილიზაციის გასაძლიერებლად

სოფია, 19 მაისი (საკდესი). ბულგარეთის არმიის გენერალურმა შტაბმა ახალი გაფრთხილება გამოაქვეყნა თადარიგში მყოფი ყველა სამხედრო მოსამსახურისა, აგრეთვე ექიმებისა, მეაფთიაქეებისა, რკინიგზებისა და ფოსტის მოსამსახურეთადმი, რომ საჩქაროდ შეატყობინონ სამხედრო მაგიდებს თავიანთი ზუსტი მისამართი.

გენერალური შტაბი ამ მეთადარიგეებს, რომლებიც ხელახალ რეგისტრაციას თავს აარიდებენ, სამხედრო სამართალში მიცემით ემუქრება.

სოფია, 19 მაისი (საკდესი). ბერლინის რადიომ გადასცა, რომ ბულგარეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული მობილიზაცია ვრცელდება გერმანიაში მყოფ ყველა ბულგარელზე. სამობილიზაციო პუნქტებში ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ თადარიგის სამხედრო მოსამსახურენი, ექიმები, ქიმიკოსები და მოხელეები 60 წლის ასაკამდე. ბერლინის რადიომ გააფრთხილა ისინი, რომ ვინც თავს აარიდებს სამობილიზაციო პუნქტებში გამოცხადებას, დაპატიმრებულ იქნება 5 წლამდე ვადით, ზოგ შემთხვევაში კი — სიკვდილით დასჯაც.

შეტაკება ოსლოს ქუჩაში

სტოკჰოლმი, 19 მაისი (საკდესი). როგორც სკანდინავიის დეპეშათა ბიურო იუწყება, გუშინ ოსლოს ცენტრში ქუჩაში მოხდა შეტაკება მოსახლეობასა და კვისლინგისა და გერმანიის პოლიციას შორის. ეს შეტაკება მოხდა მას შემდეგ, რაც პრესაში გამოცხადდა, რომ ნორვეგიელები გაწვეული იქნებიან სამხედრო სამსახურში. შეტაკებამ რამდენიმე საათს გასტანა.



საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ვ. ვ. ნანეიშვილი

გვარდიის გენერალ-მაიორი მ. ე. როსტომაშვილი

ვ. ვ. ნანეიშვილს ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 11 მაისის დადგენილებით წითელი არმიის ოფიცერთა შემადგენლობას და გენერლებს მიენიჭათ სამხედრო წოდებანი, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1942 წლის 22 იანვრის და 1943 წლის 2 იანვრის დადგენილებებით. მათ შორის ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა **ვლადიმერ ვარდენის-ძე ნანეიშვილს.**

წითელი არმიის გენერლების, ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებით დააჯილდოვა წითელი არმიის გენერლების, ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფი. **წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებულთა შორის არის გვარდიის გენერალ-მაიორი **მიხეილ ენუქის-ძე როსტომაშვილი.**

* * *

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებით დააჯილდოვა წითელი არმიის გენერლების, ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფი. **ლენინის** ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან წითელარმიელები **ვლადიმერ სერგის-ძე პაჭკირია** და **შამილ კირილეს-ძე ცერცვაძე.**

სუვოროვის I ხარისხის ორდენი გადაეცა არმიის გენერალ ფ. ი. ტოლბუხინს

19 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა სუვოროვის I ხარისხის ორდენი გადასცა არმიის გენერალ ფ. ი. ტოლბუხინს, რომელიც დაჯილდოებულია საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის. (საკდესი).

სვანი მეზღვაური

იაროსლავ იოსელიანი პირველი სვანი მეზღვაურია.

შეიძლება მართლაც შეგშურდეს იმ კაცისა, რომელიც დაიბადა ღრუბლებს ზემოთ მდებარე ასეთ ქვეყანაში. სოფელ ლახირის მცხოვრებთა ზემოთ მარტო არწივები ცხოვრობენ და სახურავებს ზემოთ იქ მარტო მთის მწვერვალი მოსჩანს. ასი წლის პაპა გიგომ ასწავლა იაროს სვანეთის, თავისი თავისუფლებისმოყვარე ხალხის სიყვარული. ბავშვი მოუთმენლად ელოდებოდა იმ საზეიმო დღეს, როდესაც 12 წელი შეუსრულდებოდა; ამ დღეს, ძველი ჩვეულებისამებრ, ძას გადასცემენ იაროს და ბავშვი მეომარი ხდება. პაპა დაპპირდა იაროს, ლამაზ ხანჯალსა და ძველებურ თოფს გაჩუქებო. იგი ამბობდა, დადგება ომი, როცა ი

სასკოლო გამოცდები

ხვალ იწყება სასკოლო შემოწმებითი გამოცდები — უსიერიოზულესი ხანა სკოლის ცხოვრებაში. სკოლა აჯამებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა შრომის წლიურ შედეგებს. რა მისცა სკოლამ თავის აღსაზრდელებს? როგორი განათლებით აღჭურვა მან საბჭოთა ბავშვები, ჩვენი მოზარდები, ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები? პირადი და საზოგადოებრივი ყოფაქცევის რა ჩვევები, შრომისადმი, მეცნიერებისადმი, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ვოვალობის შესრულებისადმი როგორი დამოკიდებულება დაინერგა და განმტკიცდა სასწავლო წლის მსვლელობაში?

განვლილ სასწავლო წელს სკოლის სამყაროში მრავალი რამ ახალი მოხდა. ჩვენმა მთავრობამ, რომელიც ზრუნავს მოზარდი თაობის აღზრდის გაუმჯობესებისათვის, მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი მიიღო: შემოღებულია ცალცალკე სწავლება, წესები მოსწავლეთათვის, წარმატების სიტყვიერი შეფასება შეცვლილია ციფრობრივი ხუთბალიანი სისტემით და ა. შ. საბჭოთა განათლების ორგანოების წინაშე, მთელი სკოლის წინაშე დასახულ იქნა სწავლისა და აღზრდის ხარისხის სერიოზული ამაღლების ამოცანა. ყოველმხრივ გაიზარდა მასწავლებლის როლი—მას დაკისრებული აქვს სრული პირადი პასუხისმგებლობა მოსწავლეთა წარმატების შეფასების სისწორისათვის.

გამოცდები სკოლაში, დაწყებითი სკოლის მეოთხე კლასებში და საშუალო სკოლის დაწყებულ კლასებში,—ეს არის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მუშაობის სახელმწიფო კონტროლი. მაღალი შემთხვევნელობა გამოცდების დროს, ვითარების სერიოზულობა და საზეიმო ხასიათი ამ დღეებში კანონი უნდა გახდეს სკოლისათვის. ცხადია, ეს იმას რომ ნიშნავს, რომ გამოცდები მტანჯველი განცდებად ვაქციოთ ბავშვებისათვის. საქმისათვის საზიანოა, როდესაც გამოცდების დროს ბავშვებს შოფერებით ეურჩულებიან, მისახვედრებელი ხასიათის კითხვებს აძლევენ, თუ, რა თქმა უნდა, ეს კითხვები ისმება ზოგმზადებული, უცოდინარი მოსწავლის „საშველად“, იმ მიზნით, რომ ცოდნის შეფასების შედეგები კეთილად მოგვეჩვენოს, მაგრამ საბჭოთა პედაგოგის საველდებულო ამოცანაა დაეხმაროს ბავშვებს, რომ მღელვარების წუთებში დამშვიდდნენ, აზრები მოიკრიბონ, არ დაეფრთხოს ისინი გულგრილი დუმილით.

გამოცდების დღეებში მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ შეამოწმონ თავიანთი ცოდნის მოცულობა. დაე მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეს გაგლილი კურსის მნიშვნელობის, შინაარსისა და აზრის, განვლილი წლის შეფასებაში. დაე იგრძნონ მათ, რომ გამოცდები სასწავლო წლის ყველაზე უფრო საზეიმო ხანაა, რომ ეს არის ანგარიშის ჩაბარება ქვეყნისათვის, თავიანთი მეომარი მამებისა და საკუთარი თავისათვის.

დაე მოსწავლეები მოვიდნენ გამოცდებზე მღელვარენი, განცდებით,—არ უნდა გვეშინოდეს ამ სტლიერი ორთოლვისა და არ უნდა გადავაქციოთ ცოდნის შემოწმება (ეს კი შემჩნეულ იქნა ზოგიერთ სკოლაში) მასწავლებელთა და მოსწავლეთა „შეგობრულ“ შეხვედრად, მოსწავლე უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას, მან უნდა იცოდეს, რომ მისი ცოდნა მკაცრად, მაგრამ სწორად იქნება შეფასებული.

ჩვენ მესამედ ვატარებთ სასკოლო გამოცდებს სამამულო ომის პერიოდში. უდავოა, რომ უფრო ძნელია სკოლის მუშაობა ომის მკაცრ წლებში. სამშობლომ იცის ეს და უაღრესად აფასებს პედაგოგთა თავდადებულ შრომას. მაგრამ სწორედ ამჟამად იზრდება უდიდესი საგულისხმო როლი იმ საუკეთესო პედაგოგთა და სკოლის ხელმძღვანელთა გამოცდილებისა, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს, რომ სიძნელეთა გადალახვა შეიძლება სწავლის მზრუნველური ორგანიზაციით და მუშაობაში კეთილსინდისიერებით. ახლანდელი შემოწმებითი და გამოსაშვები გამოცდები განსაკუთრებით სერიოზულად უნდა იქნეს ჩატარებული. ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება მცოდნე, სავსებით განათლებული, მტკიცე ნებისყოფისა და გამოწრთობილი ადამიანები. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების დღეებში სახელმწიფო მოვლის სკოლისაგან ისეთ ზუსტ და ობიექტურ შეფასებას, როგორიც ჯერ არასოდეს ყოფილა. მოჩვენებითი კეთილდღეობა არავის სჭირდება და იგი საზიანოა.

სასწავლო მუშაობაში შეჯიბრებისა და მოსწავლეთა წარმატების საშუალო პროცენტების მიხედვით მასწავლებლის შრომის შეფასების მაგნე პრაქტიკის აკრძალვა სრულ შესაძლებლობას ძლევს პედაგოგებს დაიცვან ობიექტურობა და დამოუკიდებლობა მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისას. საზღვარი დაედო იმ სტატისტიკას, რომელიც ჩქმალავს უცოდინარობას, მასწავლებლები ორიენტაციას უნდა იღებდნენ ხშოლოდ მოსწავლეთა ნამდვილ ცოდნაზე. ისინი ვალდებული არიან გამოცდებზე ნიშნები დასწერონ იმ ამოცანის გათვალისწინებით, რომ ამაღლებულ იქნას მოსწავლეთა ცოდნის დონე.

მომდინარე წელს გამოცდებში საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს სამხედრო მომზადების ზრდა ცოდნის შემოწმებამ. ვაჟებისა და ქალების ცალცალკე სწავლების შემოღებით შეიქმნა პირობები ყველა იმ სამხედრო ჩვევისა და ცოდნის წარმატებით დაუფლებისათვის, რომლებიც აუცილებლად ესაჭიროებათ სამშობლოს მომავალ დამცველებს. საუკეთესოდ დისციპლინირებული, ყველა სამხედრო-ფიზიკულტურული დავალების შეთანხმებულად, უნარიანად და მწყობრად შემსრულებელი ახალგაზრდობა—ამას მოითხოვს სამშობლო თვითეული სკოლისაგან, თვითეული კლასისაგან, განსაკუთრებით უფროსი მოსწავლეებისაგან. და უნდა ვიფიქროთ, რომ ახლანდელი შემოწმება დაგვეხმარება აღმოვფხვრათ სკოლაში სამხედრო-ფიზკულტურული სწავლების ნაკლოვანებანი.

საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის შემდეგ თანდათან მყარდება საკავშირო კონტექტი მასწავლებელთა და სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობაში. ეჭვს გარეშეა, რომ სკოლის კომკავშირელები დაეხმარებიან პედაგოგებს ორგანიზებულად ჩაატარონ შემოწმებითი გამოცდები (გამოცდებისათვის დამოუკიდებელი მზადებისა და კომსოლტაციებისათვის სპეციალური ოთახების მოწყობა, გამოცდების დღეებში სასკოლო კლასებისა და დარბაზის გარეგნული სახე, მორიგეობა და სხვ.).

გამოცდებში ჩვენს წინაშე მეღვნდება არა მარტო მიღებული ცოდნის დონე, — არა! ამასთან ერთად ჩვენს წინაშე წარმოსდგება მოსწავლის მორალური სახე. წარმოსდგება მოზარდი საბჭოთა მოქალაქის სახე.

გავიხსენოთ შარშანდელი გამოცდები. ბევრ სკოლაში მოსწავლეთა პასუხმა, მათმა წერითმა საკონტროლო ნამუშევრამა ცხადყო, თუ რა ნაყოფს იძლევა ჩვენი საუკეთესო მასწავლებლების, ჩვენი საუკეთესო დირექტორების ღონისძიებანი. ქალაქისა და სოფლის სკოლების მრავალმა უფროსმა მოსწავლემ — მოსკოველებმაც, ლენინგრადელებმაც, სვერდლოვსკელებმაც, თბილისელებმაც, ერევნელებმაც და სხვებმაც—გაგვახარა ჩვენს აღმფრთოვანებელ სინამდვილესთან დაკავშირებული ბევრი საკითხისადმი თავიანთი მიდგომის სერიოზულობით.

ჩვენი საბჭოთა სკოლა ცხოვრობს, მუშაობს და ვითარდება ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეების დროშით. პარტია და მთავრობა დაუღალავად, მამობრივი გულთბილობითა და დაუინებით ზრუნავენ საბჭოთა განათლებისათვის, და ომის დაძაბულ დღეებში ამ მზრუნველობას არა თუ აკლებენ, არამედ ყოველნაირად ზრდიან მას.

ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ცოდნის შემოწმება წელს კიდევ უფრო ბრწყინვალე შედეგებს მოგვცემს. ყველგან, სადაც კარგად შრომობდნენ, ეს შემოწმება ომის მკაფიო დემონსტრაცია გახდება, თუ როგორ გაიზარდა ჩვენი სკოლა, რომელიც ძალების სრული დაძაბვით მუშაობს დიდი სამამულო ომის გმირულ ეპოქაში.

მაშ ვოსორეოთ ჩვენს მშობლიურ საბჭოთა სკოლას შემოწმებითი და გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

„პრავდის“ 19 მაისის მოწინავე.

საპირველმაისო შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მოწინავე საწარმოები

ამ დღეებში შეჯამებულ იქნა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა შორის საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

საერთო პროდუქციის გამომუშავების აპრილის გეგმა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა შეასრულეს 106,3 პროცენტით. 21 საწარმოდან გეგმები გადამეტებით შეასრულა 17 საწარმომ.

საწარმოო დავალებათა მაღალი მაჩვენებლებით შესრულების მხრივ აპრილში დაწინაურდა ცელულოიდის ფაბრიკა (დირექტორი ამხ. მხითარიანი, პარტკომის მდივანი ამხ. ბოგვაშვილი, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. პერუნოვა), რომელსაც გადაეცა საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშა და მიეცა ჯილდო 15.000 მანეთი.

თბილისის სამინისტრშენტო ქარხანამ (დირექტორი ამხ. ხითაროვი), პარტბიუროს მდივანი ამხ. კოხრეიძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. წულაძე), რომელმაც აპრილის დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა, გადაეცა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი . წითელი დროშა და პრემია 10.000 მანეთის რაოდენობით.

მესამე პრემია 5.000 მანეთის რაოდენობით და საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს გარდამავალი დროშა გადაეცა სასკოლო-საკანცელარიო ხელსაწყოების ფაბრიკას.

ეიურომ აღნიშნა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის (დირექტორი ამხ. ჭავჭანიძე), ქიმკომბინატის (დირექტორი ამხ. ბერაძე), საქართველოს ანდეზიტის (დირექტორი ამხ. ჯაფარიძე), 26 კომისრის სახელობის ქარხნის (დირექტორი ამხ. მელაძე) და მთელ რიგ სხვა საწარმოთა კარგი მუშაობა.

მექაკეშირეები პირველ ადგილზე

ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან არსებულმა სოციალისტური შეჯიბრების ეიურომ შეაჯამა რკინიგზის საწარმოთა შორის გაშლილი საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

გზის საავგორო საწარმოთა შორის შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის სატვირთო საავგორო უბანი (უფროსი ამხ. პ. ძიძიგური), რომელმაც აპრილის თვის გეგმა 190 პროცენტით შეასრულა.

მეორე ადგილზე გამოვიდა ბათუმის საავგორო უბანი (უფროსი ამხ. ფირცხალავა), რომელმაც ვაგონების კაპიტალური რემონტის გეგმა შეასრულა 110 პროცენტით, ხოლო საშუალო შეკეთებისა — 106,6 პროცენტით.

გზის სამსახურებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა კავშირგაბმულობის სამსახური (უფროსი ნ. მანუჯგალაძე). მეკავშირეებმა უზრუნველსყვეს მატარებლების შეუფერხებელი მოძრაობა.

აღნიშნულია ხაშურის საელმავლო დეპოს (უფროსი ამხ. კაკაბაძე) კარგი მუშაობა.

გარდამავალი დროშა შეინარჩუნეს

თბილისის ავტომატური ტელეფონის სადგურის მუშაკთა კოლექტივს (დირექტორი ნ. ჯაფანიშვილი, პარტბიუროს მდივანი ი. რამიშვილი, ადგილკომის თავმჯდომარე ა. ფერიკიანი) მარტში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის მიეკუთვნა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა. თბილისის ატს-ის კოლექტივმა მიღწეული წარმატება აპრილშიც შეინარჩუნა.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ეიურომ შეაჯამა კავშირგაბმულობის სამეფურნეო-ფინანსური შედეგები. ეიურის დადგენილებით თბილისის ატს-ს აპრილში საწარმოო გამარჯვების მოპოვებისათვის დაუტოვეს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა.

დეკადები

ბულგარეთის ხელისუფალნი ჰიტლერელებს ემსახურებიან

სტამბოლი, 17 მაისი (საკდესი). სტამბოლის ჟურნალისტთა წრეებში საარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა ახალი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ბულგარეთის მთავრობა და რეგენტთა საბჭო აძლიერებენ საშხედრო დახმარებას ჰიტლერული გერმანიისადმი.

იტყობინებიან, რომ მაისის დამდეგს გერმანიის დესპანმა სოფიაში ბეკერლემ ბულგარეთის მთავრობა გადასცა ბერლინის კატეგორიული მოთხოვნა, რათა ბულგარეთმა გააძლიეროს „თანამშრომლობა“ ომში, რომელსაც ჰიტლერული გერმანია ეწევა. ამასთან დაკავშირებით 6 მაისს სოფიაში გაიწვიეს ბულგარეთის ბერლინელი დესპანი ზაგორო